

## სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 14

ქ.თბილისი

23 მაისი 2014 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ.თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ე. ნაჭყებიას ვ. სამხარაძის, ი.ჩიქავას მონაწილეობით მ/წლის 23 მაისს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის ფ. გაბაძის ოქმი.

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 16 მაისს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი თბ „ყოჩები“-სა და პატარძელის „ვეფხვებს“ შორის. მატჩის მეთვალყურის ფ. გაბაძის ოქმის და მთავარი მსაჯის ლ. ქავთარაძის მოხსენებითი ბარათის მიხედვით გამოირკვა შემდეგი დისციპლინარული დარღვევები :

### თბ „ყოჩები“

1. ფარნაოზ სვიმონიშვილი (№ 15) - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
2. ლაშა პერტენავა (№ 1) - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
3. ნიკო მასხულია (№ 12) - კონფლიქტის პროვოცირება.

### პატარძელის „ვეფხვები“

1. შოთა შალვაშვილი (№ 10) - კონფლიქტის პროვოცირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.5 და 2.6 პუნქტებით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბ თბ „ყოჩების“-ს მორაგბე ფ. სვიმონიშვილი (№ 15) დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით.
2. კლუბ თბ „ყოჩების“-ს მორაგბე ლ. პერტენავა (№ 1) დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით.
3. კლუბ თბ „ყოჩების“-ს მორაგბე ნ. მასხულია (№ 12) დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით.
4. კლუბ თბ „ყოჩებს“ დააკლდეს 1 (ერთი) საცხრილო ქულა.
5. კლუბ პატარძელის „ვეფხვები“-ს მორაგბე შ. შალვაშვილი (№ 10) დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით.

/ე. ნაჭყებია /

/ ი.ჩიქავა /

/ვ. სამხარაძე /

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი /

